



სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №15
2016 წლის 24 მაისი
ქ. სენაკი

**სენაკის მუნიციპალიტეტის 2016 წლის I კვარტლის ბიუჯეტის შესრულების
ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85-ე მუხლის შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობამ I კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოადგინა სენაკის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების I კვარტლის მიმოხილვა, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან, რომელიც მოსმენილი და შეფასებულ იქნა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წლის 24 მაისს გამართულ საკრებულოს სხდომაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 16-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2016 წლის I კვარტლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ჯუმბერი ლაშქარავა